ახალი ხარაგაული

347 (6) 15 მარტი, 2017 წ

ჩვენო ლირსეულო ქალბატონებო!

ღრმა პატივისცემით გილოცავთ გაზაფხულის ორ უმშვენიერეს თარიღს–დედისა და ქალთა დღეს!
სიკეთით, მადლით, მოყვასისა და უფლის დიდი სიყვარულით გეცხოვროთ.
არასოდეს მოგკლებოდეთ ქალური ბედნიერება და შვილთა ნარმატებებით მონიჭებული სიხარულის განცდა!
დაე, ყოველი გაზაფხული ყოფილიყოს თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო სიახლეების და ნარმატებების მომტანი!
მრავალჟამიერ თქვენს ლამაზ სიცოცხლეს!

პატივისცემით, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, გაზაფხულის დღესასწაულები ქალბატონებს პირადად მიულოცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, სოფელ ვახანში მცხოვრებ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერან ქალბატონს, ვერა არევაძეს, გაზაფხულის დღესასწაულები პირადად მიულოცა. ნიკოლოზ თოფურიძემ ქალბატონ ვერას ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი და მედიკამენტების ვაუჩერი გადასცა. გამგებელმა ქალთა საერთაშორისო დღე, ასევე სოფელ ლახუნდარაში მცხოვრებ ასი წლის ქალბატონს, ელენა არჯევანიძეს, მიულოცა.

ბეღლამანიაში გზის საჩქარებლივ საქუშაოები გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, მოინახულა

სოფელ გედსამანიაში გზის მშენებლობა გაგრძელდა. სოფლის ცენტრალური გზის 3 კმ-იანი მონაკვეთის მობეტონება რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

გზაზე ბეტონის საფარის დაგება გასულ წელს დაიწყო, თუმცა სამშენებლო კომპანიამ, („დალა - 73“) ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო. ამჟამად გზის მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“ ასრულებს.

გედსამანიაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, თემურ თაბუკაშვილმა, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსმა, გრიგოლ ჭიპაშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა, კახა ლომიძემ, მოინახულეს.

პროექტის ღირებულება 277 380 ლარია და სამუშაოები ივნისის ბოლოს დასრულდება.

ლელა გუგულაშვილი

საკრებულოში ახალი ფრაქციების შექმნას დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს

6 მარტს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე ფრაქციების: „თავისუფალი არჩევანისა“ და „დემოკრატების“ შექმნის საკითხის განხილვას ცხარე დებატები მოჰყვა. დეპუტატთა უმრავლესობა ფრაქციების შექმნას უკანონოდ მიიჩნევს, ნაწილი კი კოლეგებს არასამართლიან გადაწყვეტილებისა და კანონის სათანადოდ არცოდნაში ადანაშაულებს. მათი განმარტებით, მმართველი პარტის წარმომადგენლები ფრაქციების შექმნას ხელს გამიზნულად უშლიან.

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მიხეილ გელაშვილის, განცხადებით, კომისიამ უარყოფითი დასკვნა გასცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ფრაქციის შექმნა ვერ აკმაყოფილებს თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლისა და საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მოთხოვნებს.

დეპუტატი რომან შერგელაშვილი იურიდიულ კომისიას უმოქმედობაში ადანაშაულებს, ვინაიდან ორიოდე თვის წინ ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ შექმნის საკითხზე კომისიამ დადებითი დასკვნა გასცა და ბიუროს არ ჰქონდა უფლება, საკითხი დაებლოკა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, განმარტებით, კომისიის სხდომა პროცედურული დარღვევით ჩატარდა, რის გამოც გადაწყვეტილება ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით ბათილად იქნა ცნობილი.

კობა გოგსაძე აღნიშნავს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება არა კანონიდან გამომდინარე, არამედ „მე შენ გერევის“ პრინციპიდან არის მიღებული. გოგსაძემ დოკუმენტაცია წარმოადგინა, თუ როგორ შეიქმნა მსგავსი ტიპის ფრაქციები სხვა მუნიციპალიტეტებში. ლეღვნის მაჟორიტარი დეპუტატი, ინგა მაღრაძე, ამბობს, რომ ანალოგიური ფრაქციები საქართველოს 68 მუნიციპალიტეტშია დარეგისტრირებული და კანონდარღვევად მხოლოდ ხარაგაულში მიიჩნევენ. დეპუტატს ასევე აინტერესებს ფრაქცია „მრეწველებში“ რომ ქართული ოცნების წარმომადგენელი გივი ხიჯაკაძეა შესული, ამას რატომ არ ზღუდავს კანონი. ვარლამ ჭიპაშვილმა ინგა მაღრაძე ცრუ ინფორმაციაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ მსგავსი პრეცენდენტები არც ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოში არ არის და, თუ ასეა, წარმოადგინონ ფრაქციების წესდება და რეგისტრაციის ფურცლები.

საბოლოოდ, დეპუტატთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ახალი ფრაქციები არ შეიქმნა.

ამავე სხდომაზე საკრებულომ თანხმობა გასცა სოფელ ღორეშაში არსებული საზოგადოებრივი ცენტრის იუსტიციის სამინისტროზე უსასყიდლო-უზურფრუქტით გადაცემის საკითხზე. ასევე, დეპუტატებმა განიხილეს არასამთავრობო ორგანიზაციისთვის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ უბისაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის უსასყიდლო-უზურფრუქტით გადაცემის საკითხი.

გამგეობის ეკონომიკის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაცია უბისაში დასასვენებელ სკვერს მოაწყობს, სადაც დაგეგმილია განათებისა და დასასვენებელი სკამების დამონტაჟება.

დასასრულ, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, კახა გოლუბიანმა, საჯარო მოხელეთა გადამზადების გეგმა წარმოადგინა. გოლუბიანის ინფორმაციით, 2017 წელს საჯარო მოხელეთა სწავლება-გადამზადებისთვის ბიუჯეტში 4 ათასი ლარია გათვალისწინებული.

თამარ მაღრაძე

ჩუმათელეთი-ხევის 11 კმ-იანი მონაკვეთი რეაბილიტირდება

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული - ქვეყნის მთავარი საავტომობილო გზების გაუმჯობესებისა და მოდერნიზების პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალზე ავტობანის მშენებლობას განაგრძობს.

პროგრამის მიხედვით, შემდეგი მონაკვეთი, რომლის მოდერნიზებაც იგეგმება ჩუმათელეთი-ხევის 11 კმ-იანი გზაა. 10 მარტს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოების შედეგად, ზემოქმედების არეალში მოხვედრილი და დაინტერესებული მხარეებისთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა მოეწყო.

შეხვედრას სოფელ ვერტყვიჭალის კულტურის ცენტრში ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საზოგადოებას დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საგზაო დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტმა მაია ვაშაკიძემ, შპს ,,ეკოსპექტრის“ კონსულტანტმა ირაკლი კავილაძემ და დეპარტამენტის რამდენიმე წარმომადგენელმა გააცნეს.

აღნიშნული მონაკვეთი აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის ერთ-ერთ ყველაზე რთულ უბანს წარმოადგენს, რომელიც თავისუფალი გადაადგილების ხშირი შეფერხებითა და მაღალი საავარიო რისკებით ხასიათდება. ამდენად, მისი მოდერნიზაციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სატრანსპორტო გადაადგილების პირობები, შემცირდება მგზავრობის ხანგრძლივობა და ავარიების რისკი. ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი რიკოთის უღელტეხილზე დამატებითი გვირაბის მშენებლობას ითვალისწინებს. დაგეგმილია ორი გვირაბის მშენებლობა. აქედან ერთი რიკოთის უღელტეხილამდე 1,5 კმ მონაკვეთში განთავსდება, ხოლო მეორე რიკოთის გვირაბის პარალელურად აშენდება.

სოფელ ხევის 3 კმ-იან მონაკვეთზე ორივე მხარეს განთავსებულია, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობები. ამიტომ ამ მონაკვეთში სოციალური ზეგავლენა გარდაუვალია.

როგორც ირაკლი კავილაძემ პრეზენტაციის წარდგენისას განაცხადა, პროექტის განხორციელების შედეგად, მშენებლობის ზოლში მოხვდება ხევის ტერიტორიაზე არსებული 7 მოქმედი რესტორანი, ოთხი არამოქმედი შენობა, ერთი ბენზინგასამართი სადგური და ერთიც მიტოვებული შენობა, რომელიც, სავარაუდოდ, ავტოშემკეთებელი საამქრო იყო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს უსაფრთხოების კონსულტანტის, მაია ვაშაკიძის ინფორმაციით, პირდაპირი სოციალური ზეგავლენა ინდივიდუალურ მოვაჭრეებს და საპროექტო ზონაში განლაგებულ მრავალ ობიექტს, მათ შორის, ხევის საზოგადოებრივ სახლს, საჯარო სკოლასა და საბავშვო ბაღის შენობებს შეეხება..

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დაქირავებული ინგლისური კომპანიის მიერ მზადდება გზის დეტალური დიზაინი, რის შემდეგაც ყველა საკითხი ეტაპობრივად განიხილება. ასევე, ,,მსოფლიო ბანკის“ მოთხოვნით, პროექტის ფარგლებში, შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული, რომელიც ნებისმიერი მოქალაქის საჩივარს განიხილავს. იქ, სადაც მოსალოდნელია დიდი რაოდენობის მიწის გამოტანა, ტყეების გაჩეხვა და მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, ვიბრაციისა და ხმების დასახშობად სპეციალური ხმაურდამცავი ბარიერები მოეწყობა, ხოლო ერთი მოჭრილი ხის სანაცვლოდ, სამი ახალი ნერგი დაირგვება. მკაცრად გაკონტროლდება ასევე, სამუშაო დრო და ავტომაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებული მუშა-ხელის შერჩევის პროცესი, რადგანაც ,,მსოფლიო ბანკის“ მოთხოვნით,მუშახელის 70 % ადგილობრივი მაცხოვრებლებით უნდა დაკომპლექტდეს. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას აცნობეს, რომ აუცილებელია, წინასწარ მოახდინონ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფოტო და ვიდეოგადაღება, რადგან, სამუშაოების დაწყების შემდეგ წარმოქმნილი პრობლემებიდან გამომდინარე, ზედმეტი გართულებების გარეშე მოხდეს კომპენსაციის მიღება.

შეხვედრაზე მოსახლეობის მიერ დასმულ ყველა კითხვას გაეცა პასუხი.

საქართველოს მთავარი გზების მოდერნიზაციის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მეზობელ ქვეყნებში ტვირთის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის გაუმჯობესებაა.

ლელა გუგულაშვილი

ზაურ ბერაძეს აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატების ტიტულები შეხვდნენ

საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულს, გრან-პრის მფლობელს, საქართველოს ჩემპიონს, ვერცხლის მედლისა და 60-მდე სიგელის მფლობელს, ხარაგაულელ ზაურ ბერაძეს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრა მოუწყვეს.

შეხვედრაზე, დამსწრე საზოგადოებამ იხილა ვიდეოკოლაჟი, რომელშიც ზაურის ჭიდაობები და გამარჯვებები იყო ასახული. ამის შემდეგ კი, ჩემპიონს გამარჯვება პირადად მიულოცეს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ, საკრებულოს წევრებმა და გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ზაურ ბერაძეს, ფულადი ჯილდო, 500 ლარის ოდენობით, გადასცა, რომელიც მას პირად ანგარიშზე ჩაერიცხა.

სიმბოლური საჩუქრები გადასცა ჩემპიონს ასევე, გამგეობის კულტურის სამსახურმა და საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, მარინე ვეფხვაძემ.

ზაურ ბერაძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ყურადღებისთვის და აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა მისთვის დიდი სტიმულის მიმცემია.

19 წლის ზაურ ბერაძეს თავისუფალ ჭიდაობაში 60-მდე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტურნირში აქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის, 45-ჯერ პირველი ადგილის მფლობელია. 2015-2016 წლებში აზერბაიჯანში აიღო გრან-პრი. 2016 წელს საბერძნეთში საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. მოგებული აქვს ასევე თბილისის პირველობა და რეგიონული პირველობა. 2016 წელს კი მოიპოვა ვერცხლის მედალი საქართველოს პირველობაზე.

ზაურ ბერაძე 2017 წელს თავისუფალ ჭიდაობაში 84 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი გახდა. ის ჩემპიონატში ხარაგაულის სახელით მონაწილეობდა. ასევე, 2017 წელს მან ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა.

ეკა შავიძე

ხარაგაულში გენდერული საბჭო შეიქმნა

6 მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, გააცნო. მისივე განცხადებით, გენდერული საბჭოს მიზანია, გააძლიეროს ქალთა უფლებები და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებების მიღებაში მათ თანამონაწილეობას.

ხმათა უმრავლესობით საკრებულოში გენდერული საბჭო შეიქმნა, რომელიც 19 წევრისგან დაკომპლექტდა.

შეგახსენებთ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო არის საკრებულოს სათათბირო -საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ,,გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას განიხილავს, შეიმუშავებს წინადადებებს დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

თამარ მაღრაძე

სამუსიკო სკოლაში დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ტრადიციული საგაზაფხულო ზეიმი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას სამუსიკო სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე იღებდა. აღსაზრდელებმა დამსწრე საზოგადოებას გაზაფხულის დადგომა მუსიკალური ჰანგებით მიულოცეს. შესრულდა სხვადასხვა ლამაზი ნაწარმოები, ცნობილი კომპოზიტორების უკვდავი შედევრები. ყოველივე ეს კი როიალის თანხლებით მიმდინარეობდა, რაც განსაკუთრებულად შთამბეჭდავ ელფერს სძენდა ღონისძიებას. სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლალი ალექსიძემ, მსმენელებს გაზაფხულის დადგომა მიულოცა. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პედაგოგებს თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომისთვის, იმ ღვაწლისთვის, რასაც ისინი მოსწავლეების მიმართ ავლენენ. გაზაფხულის დღეებისადმი მიძღვნილმა კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ეკა შავიძე

დაბის N 2 საჯარო სკოლაში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო

დაბის N 2 საჯარო სკოლაში მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ღონისძიების ორგანიზატორი მოსწავლეთა თვითმმართველობა და ამავე სკოლის პედაგოგი რუსუდან თაბაგარი გახლდათ. წარმოდგენილი ნამუშევრები სიმბოლურ ფასად გაიყიდა. თანხა კი ხარაგაულში მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში გადაირიცხება. როგორც სკოლის დირექტორი, ვალერი გოგნაძე, ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ტაძრის მშენებლობაში პედკოლექტივი აქტიურადაა ჩართული.

მისივე თქმით, მსგავსი ტიპის აქცია სკოლაში გასულ წელსაც მოეწყო.

საქველმოქმედო აქციიდან 160 ლარი შემოვიდა, რომელიც ეკლესიის ფონდში უახლოეს მომავალში გადაირიცხება.

ეკა შავიძე

თხილის კულტურის გაშენებით დაინტერესებული ხარაგაულელი ფერმერებისთვის სემინარი ჩატარდა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან თხილი ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო პროდუქტია, რაც ჩვენი ქვეყნის ფერმერებს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს. წლების განმავლობაში თხილის ექსპორტი მზრდადი ტენდენციებით ხასიათდება. ექსპორტის რაოდენობა დამოკიდებულია წლის მოსავალზე. თხილს კაკლოვანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი სამრეწველო პლანტაციები ფართოდაა წარმოდგენილი შავი ზღვის სანაპიროს ტენიან, თბილ რაიონებში (აჭარა, აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი). მისი მაღალი ყინვაგამძლეობის გამო თხილი აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებშიცაა გავრცელებული, თუმცა დასავლეთ საქართველოს ტენიანი სუბტროპიკები მეტი მოსავლიანობითა და ნაყოფის ხარისხობრივი მაჩვენებლებით ყველაზე პერსპექტიულია. გამომდინარე იქიდან, რომ თხილის დარგვის სეზონი ახლოვდება, 7 მარტს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის ინიციატივით აღნიშნული კულტურის გაშენებით დაინტერესებული ხარაგაულელი ფერმერებისთვის სემინარი ჩატარდა, რომელიც სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებისგან შემდგარმა ჯგუფმა მოამზადა. ჯგუფის შემადგენლობაში გახლდნენ მრავალწლოვანი კულტურების კვლევის და სარგავი მასალების წარმოების დეპარტამენტის სპეციალისტი-ლაშა ციგრიაშვილი, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის სპეციალისტი-ენტომოლოგი მანანა კერესელიძე და ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი -ალექსანდრე მეგრელიშვილი. შეხვედრაზე ფერმერებმა თხილის ბაღის გაშენების, მოვლის, გასხვლა-ფორმირების, მავნებელ დაავადებებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდებისა და ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების წესების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. სპეციალისტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თხილის ბაღების გაშენებისას აუცილებელია, ფერმერებმა სწორად შეარჩიონ ნიადაგის მდებარეობა, მოამზადონ წინასწარ და შემდეგ დაგეგმონ ბაღის გაშენება. თხილი შესაძლებელია, გაშენდეს კვადრატულად, სწორკუთხოვნად და ჭადრაკულად. ახალგაზრდა ნერგები მუდმივ მეთვალყურეობას და მოვლას საჭიროებს. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ თხილის ნაყოფის სამომხმარებლო ვარგისიანობა და ხარისხზე ზრუნვა ფერმერებმა პლანტაციებიდან უნდა დაიწყონ. კალენდარულ ვადებში ჩატარებული ყველა სახის აგროღონისძიება, ასევე კრეფის, შენახვისა და გაყიდვების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დაცვა, საბოლოოდ განსაზღვრავს პროდუქტის მაღალ ხარისხს. აღნიშნულ საკითხებს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფონზე, როდესაც საქართველო ყოველწლიურად, სხვა ქვეყნებთან შედარებით, თხილის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანა ხდება. შეხვედრაზე პასუხი გაეცა ფერმერებისთვის საინტერესო ყველა საკითხს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის მთავარი სპეციალისტის, ვაჟა მაჭავარიანის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის აქტუალურ დარგებთან მიმართებაში მსგავსი სემინარები მომავალშიც ჩატარდება.

ლელა გუგულაშვილი

სამუსიკო სკოლაში იზა ვეფხვაძის ახალი სპექტაკლის პრემიერა გაიმართა

2 მარტს სამუსიკო სკოლაში იზა ვეფხვაძის ახალი სპექტაკლის - ,,ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი" - პრემიერა გაიმართა. რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა სპექტაკლი, დიდ ქართველ მამულიშვილს, სიმონიკა ბერეჟიანს, მიუძღვნა.

სპექტაკლის პრემიერას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მწერალი გიზო თავაძე და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

როგორც იზა ვეფხვაძემ აღნიშნა, სიმონიკა ბერეჟიანს საზოგადოება ნაკლებად იცნობს და სპექტაკლის დადგმის მიზანიც ამ ადამიანის ქართველი ერისათვის უკეთ გაცნობაა. ქალბატონმა იზამ ღირსეული მამულიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა. სიმონიკა ბერეჟიანი 1897 წელს ერმილე თაყაიშვილის ოჯახში დაიბადა.1918—1920 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ოფიცერი გახლდათ და ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. 1920 წელს იგი უმაღლესი განათლების მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი იძულებული გახდა, ემიგრაციაში დარჩენილიყო. შემდეგ ჩავიდა პარიზში, სადაც ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. 1941 წელს სიმონ ბერეჟიანი გერმანიაში დაბრუნდა და სიმონ ბერგერის სახელით ვერმახტის ქართულ ლეგიონში ჩაირიცხა. ბერგერის გვარით იგი 1942 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. დღემდე მისი საფლავი დაკარგულად ითვლება.

მონოსპექტაკლში ძალზე ორიგინალურად იყვნენ ჩართული ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ხარაგაულის ფილიალის ნორჩი ჩოხოსნები,რომლებმაც სიმონიკა ბერეჟიანის პოემა ,,პაემანი მთაწმინდაზე“ წაიკითხეს. ამ პოემას ბავშვები, სულ მალე, იზა ვეფხვაძის ინიციატივით, მთაწმინდაზე წარმოთქვამენ და სიმონიკა ბერეჟიანს ოცნებას აუსრულებენ.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, მადლობა გადაუხადა ქალბატონ იზას, იმ სასიკეთო საქმებისათვის, რასაც ის არა მარტო ხარაგაულის, არამდე მთელი საქართველოსათვის აკეთებს.

,,ქალბატონმა იზამ გაგვიცოცხლა არაერთი ღირსეული მამულიშვილი და გვაზიარა დღემდე უცნობ ფაქტებს. შესანიშნავი სპექტაკლი ვნახეთ ადამიანზე, რომლის ცხოვრების გზა აგღვაფრთოვანებს და სიამაყით გვივსებს გულს, გვაზიარებს იმ საიდუმლოს, რასაც სამშობლოს სიყვარული, ტრფობა და ამ ნოსტალგიით გარდაცვალება ჰქვია. ჩვენ არაერთი ქართველი ვიცით, რომელიც ასე მძიმედ განიცდიდა სამშობლოდან შორს ცხოვრებას. საქართველოს აღარ ჰყავს დასაკარგი შვილები. ვისურვებდი, რომ ჩვენს ქვეყანას, სიმონ ბერეჟიანის მსგავსი პიროვნება ბევრი აღეზარდოს“, - დასძინა დეპუტატმა.

სპექტაკლის დასასრულს რეგენტმა, თორნიკე ბაკურაძემ, მგალობელ ბავშვებთან ერთად საგალობელი შეასრულა. სპექტაკლს მუსიკალურად დალი მერაბიშვილი აფორმებდა, ხოლო ტექნიკურ მხარდაჭერას ვანო ჭიპაშვილი ახორციელებდა.

ეკა შავიძე

„სათნოების სახლში'' პენეფიციარებს შაბათ დღესაც მოემსახურებიან

ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი“ ბენეფიციარებს შაბათ დღეს ისევ მოემსახურება. ეს გადაწყვეტილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ,,სათნოების სახლის“ დირექციამ ერთობლივად მიიღეს.

სამსახურის ხელმძღვანელის, გოგიტა ჩიჩილიძის, ინფორმაციით, ბენეფიციართა დიდი ნაწილი სასადილოში შაბათ დღეს მისვლას ვერ ახერხებდა, რის გამოც მათთან შეთანხმებით მოხდა, ამ დღის ულუფის სანაცვლოდ, შუა კვირაში ტკბილეულის დამატება და პარასკევს პურის ორმაგი რაოდენობის გაცემა.

,,ეს გადაწყვეტილება თვითნებურად არ მიგვიღია, ბენეფიციარებს შევუთანხმდით და არც ერთ მათგანს არ გაუპროტესტებია, თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ რამდენიმეს შენიშვნა ჰქონია. ამ საკითხზე ვიმსჯელეთ მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კვება შაბათობით ისევ განახლებულიყო.“-ამბობს გოგიტა ჩიჩილიძე.

,,სათნოების სახლის“ დირექტორი კვების რაციონთან დაკავშირებულ შენიშვნებსაც ეხმაურება და აღნიშნავს, რომ მენიუში ცვლილება არ მომხდარა. „ჩემი მოსვლის შემდეგ ცოტა ინგრედიენტები დავამატეთ და მომსახურება უკეთესობისკენ შევცვალეთ. აღვადგინეთ სოციალურად დაუცველ და უკიდურესი გაჭირვების ზღვარზე მყოფი ოჯახებისთვის ერთჯერადად საკვები პროდუქტებით დახმარება და ამას პერმანენტული სახე მივეცით.“

კვებასთან დაკავშირებით თავიანთ მოსაზრებას აფიქსირებენ უფასო სასადილოს თანამშრომლები და ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ სამსახურში გასულ წლებთან შედარებით პირობები გაუმჯობესებულია. მათი თქმით, 67 ბენეფიციარიდან ორის მიერ გამოთქმული შენიშვნები არ უნდა ქმნიდეს ზოგადად უარყოფით შეხედულებას. ისინი თვლიან, რომ უმრავლესობა მომსახურებით კმაყოფილია.

საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გივი ხიჯაკაძე, ბენეფიციართა აზრის გათვალისწინებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და შაბათ დღეს კვების აუცილებლობაზე საუბრობს. მისი აზრით, ისეთი ფორმა უნდა მოიძებნოს, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩეს. გივი ხიჯაკაძე განმარტავს, რომ სოციალურ საკითხთა კომისია უახლოეს მომავალში უფრო დეტალურად გაეცნობა დაწესებულების საქმიანობას.

„სათნოების სახლის“ მომსახურებით რამდენიმე ბენეფიციარს საკუთარი აზრის დაფიქსირება ვთხოვეთ.

ქეთევან გლუნჩაძე ამბობს, რომ სასადილოში სისუფთავე და წესრიგია და საკვებიც გემრიელადაა მომზადებული.

ქეთევან კვინიკაძე აღნიშნავს, რომ უკვე ოთხი წელია, „სათნოების სახლში“ იკვებება და ამ დროის განმავლობაში პრეტენზია არასდროს გასჩენია. „ძალიან კარგი მომსახურებაა, მოწესრიგებული და ყურადღებიანი პერსონალი გვემსახურება, რისთვისაც მინდა, მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ. გასულ წლებთან შედარებით პირობები ნამდვილად გაუმჯობესებულია.“

მომსახურე პერსონალის მიმართ შენიშვნები გამოთქვა მაია დეკანოსიძემ. მისი განმარტებით, ერთ ცვლაში შედარებით ნაკლებ პროდუქტს აძლევენ.

კობა მაღრაძე ორი წელია, აქ იკვებება და მომსახურება მოსწონს. „რისი საშუალებაც არის, იმას ამზადებენ, კვების რაციონში გოჭის ხორცი არ არის, მაგრამ რაც არის, გემრიელი და სუფთად მომზადებულია“, - განმარტავს მაღრაძე.

უფასო სასადილოში არსებული მომსახურება არ მოსწონს ევა სმირნოვას და იგი მიიჩნევს, რომ ბენეფიციარებისათვის უკეთესი მენიუ და მომსახურება უნდა არსებობდეს.

ამჟამად ,,სათნოების სახლში“ შაბათ დღეს კვება აღდგენილია და მომსახურება სულ 67 ბენეფიციარს ეწევა.

ეკა შავიძე

კულტურის ცენტრში ხარაგაულელ ქალბატონებთან შეხვედრა მოეწყო

3 მარტს ხარაგაულის კულტურის ცენტრში, საგაზაფხულო ღონისძიებების ფარგლებში, ხარაგაულელ ქალბატონებთან შეხვედრა მოეწყო. საღამოს ორგანიზატორი კულტურის ცენტრის თანამშრომელი, მსახიობი ლუიზა კიკნაძე გახლდათ. მოწვეულ დედებს ,,დედის დღე“ მიულოცეს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დირექტორმა, ვასილ კიკნაძემ, პედაგოგებმა: მერი გიორგიძემ, ზეინაბ ბუაჩიძემ, ინესა კელენჯერიძემ და ვენერა კიკნაძემ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: თიკო და თათული ლურსმანაშვილებმა, ნინო და თეო ჭიპაშვილებმა, ვატო მაღრაძემ, არმაზ შავიძემ, სალომე კვირიკაშვილმა, თამთა კიკნაძემ. მსახიობმა ნიკო წიკლაურმა კი სტუმარ ქალბატონებს ექსპრომტები მიუძღვნა.

საღამომ საინტერესო მოგონებებისა და სახალისო ისტორიების ფონზე ჩაიარა. ლუიზა კიკნაძემ ღვაწლმოსილ დედებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ხარაგაულის კინოთეატრში რვა მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა

ხარაგაულის „კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ხარაგაულის კინოთეატრში რვა მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უბისი,“ ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „კახორი,“ სოფელ ლეღვნიდან ირინა შარიქაძის მომღერალი ოჯახი, ანსამბლ „უბისის“ ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, მომღერლები: სალომე კვირიკაშვილი, თათული და თიკო ლურსმანაშვილები. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, ხარაგაულში 50 წლის წინ დადგმულმა ,,სერენადამ“ რომელიც კულტურის ცენტრის მსახიობებმა ახალი ინტერპრეტაციით წარმოადგინეს. საღამოზე, ნაჩვენები იქნა ცხადაძეების ცხრაშვილიანი ოჯახის შესახებ გადაღებული სიუჟეტი, რომელიც მრავალშვილიანი დედის ცხოვრებას აღწერდა. მაყურებელმა კიდევ ერთხელ სიყვარულით იხილა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „საბრალდებო დასკვნა“. მსახიობმა ნიკო წიკლაურმა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, ირინე ჩხეიძეს, ხარაგაულის თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა და ლექსი მიუძღვნა.

ღონისძიების დაწყებამდე კულტურის ცენტრთან არსებული ხალხური რეწვის წრის (ხელმძღვანელი ირმა ბუაჩიძე) მოსწავლეთა ნამუშევრები კინოთეატრის ფოიეში გამოიფინა.

კონცერტი მაია ბერაძეს და გიორგი ჭიპაშვილს მიჰყავდათ.

ქალბატონებისათვის გამართულ საზეიმო ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ლელა გუგულაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ოთარ ლურსმანაშვილი აირჩა

10 მარტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომაზე საბჭოს წევრებმა თავმჯდომარის მოადგილე აირჩიეს და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. აღნიშნული თანამდებობა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა, ოთარ ლურსმანაშვილმა, დაიკავა. საბჭოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე გახლავთ, მდივანი კი გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში, ინგა ბერაძე. გენდერული საბჭოს შემადგენლობაში სულ 21 წევრია. ესენი არიან:

მარინა ხვედელიძე, იუზა კელენჯერიძე, დავით კიკნაძე, ქეთევან ზუმბაძე, ლალი სებისკვერაძე, ხათუნა მანჯავიძე, ვალერი გოგნაძე, ბერიკა ტალახაძე, ეკა შველიძე, ნაზი გველესიანი, კოტე ბერაძე, ნიკოლოზ დეკანოსიძე, მერაბ იჩქიტიძე, მარინე ვეფხვაძე, ლაურა გოგოლაძე, ლია ხმალაძე, იზა ვეფხვაძე, პავლე თავზარაშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შემდეგი სხდომა აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება.

თამარ მაღარაძე

ეს დიდი შენაძენია...

ადამიანი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს. მით უმეტეს, თუ მას რჩება ისეთი ახლობელი, რომელიც ზრუნავს მისი ხსოვნის უკვდავებაზე. სწორედ ამგვარი გულისხმიერების გამოძახილია ის ფაქტი, რომლის შესახებაც მინდა, დიდი მადლიერებით გიამბოთ.

ხარაგაულის საზოგადოების უფროს თაობას, ალბათ, კარგად ახსოვს ნიჭიერი, ძალზე პერსპექტიული მუსიკოსი, ნუგზარ ბუაჩიძე. იგი ერთ-ერთი გამორჩეული პიანისტი იქნებოდა, რომ არა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლის გაუარესებამ ადრიანად ჩამოაშორა საყვარელ საქმეს. არადა რამდენი კეთილი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი... ახლახან ნუგზარის უახლოესმა ნათესავმა, ქალბატონმა იზა ბუაჩიძემ, ხარაგაულის სამუსიკო სკოლას საჩუქრად გადასცა ადრე წასული მუსიკოსის კუთვნილი სანოტო ლიტერატურა, რომელთა შორისაა: ბახის, ბეთჰოვენის, შოპენის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, შიტეს, ჩერნის და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებები.

ახლა, როცა ნოტები იშვიათად იბეჭდება და ადვილად ხელმისაწვდომი აღარაა, ასეთი მდიდარი სანოტო ლიტერატურა დიდი შენაძენია ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკისათვის, პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის.

დიდი მადლობა ქალბატონ იზა ბუაჩიძეს ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი საჩუქრისათვის.

ლალი ალექსიძე, ხარაგაულის შოთა გუაჩიძის სახელოგის სამუსიკო სკოლის დირექტორი

„ᲡᲛᲐᲠᲗ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ" ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲮᲘᲑᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲑᲐᲜᲐᲮᲝᲮᲡᲘᲔᲚᲔᲡ

ბორის სკოლა-პანსიონის სამოქალაქო განათლების ,,სმარტ კლუბის" წევრებმა, ქალთა დღეებთან დაკავშირებით, საქველმოქმედო აქცია გამართეს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თბილისის მოზარდთა სახლის" მხარდაჭერითა და ხარაგაულის გამგეობის სოციალური სამსახურის ჩართულობით განხორციელდა.

კლუბის წევრები, კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და მრავალშვილიან დედებს (ხუთი და მეტი შვილი) დაეხმარნენ. ახალგაზრდებმა გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროს ალექსანდრე ტაბატაძესთან ერთად, ხელმოკლე ოჯახებს საკვები პროდუქტები გადასცეს.

„სმარტ კლუბის" ხელმძღვანელის, მაია ბლუაშვილის, განცხადებით, მაისის ბოლომდე „თბილისის მოზარდთა სახლის" ინიციატივით მუნიციპალიტეტში მსგავსი ტიპის აქცია კიდევ განხორციელდება.

თამარ მაღარძე

ხარაგაულის გორის მე- 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გორის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ. ახალგაზრდებმა ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) წარმომადგენლების მასპინძლობით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ე.წ. „ხერგილი" მოინახულეს. მოგვიანებით კი ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი დაათვალიერეს.

გორის მე-2 საჯარო სკოლა ჩართულია პროექტში - „ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის." პროექტის ხელმძღვანელი ნონა ხიზანიშვილია,რომელიც ამავდროულად ინგლისური ენის პედაგოგი გახლავთ. ქალბატონი ნონას თქმით, ხარაგაულში სტუმრობა პროექტის გასვლით-შემეცნებითი ტურების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. მისივე ინფორმაციით, გორის სკოლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლასთან დამეგობრებას გეგმავს.

„ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ნამყოფი ვიყავი, მაგრამ დღევანდელმა დღემ მოლოდინს გადააჭარბა. ვფიქრობთ, ზაფხულში კიდევ ჩამოვიდეთ.მადლობა ტურიზმის ცენტრის მთელ გუნდს ასეთი საინტერესო დღისთვის." - დასძინა ხიზანიშვილმა.

თამარ მაღრაძე

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ �გᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚ �თᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ - „ᲠᲐ? ᲡᲐᲓ?ᲠᲝᲓᲘᲡ?" ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გენდერულ თემებზე ინტელექტუალური თამაში - „რა? სად? როდის?" გაიმართა. ერთმანეთს ხუთი გუნდი დაუპირისპირდა.

„ბაღი-ბაღნარი" (დაბის №1 საბავშვო ბაღის გუნდი);

„ტროა" (ცენტრალური ბიბლიოთეკის გუნდი);

„გივი კურტანიძის ექვსეული" (დედები და შვილები);

„მიშა გელაშვილის ექვსეული" (გამგეობის გუნდი);

„რკინიგზელები" (დაბის №3 საჯარო სკოლის გუნდი);

გუნდები გენდერულად დაბალანსებული იყო (3 კაცი, 3 ქალი) და მოთამაშეებმაც გენდერულ თემებზე შერჩეულ 20 შეკითხვას უპასუხეს.

თამაშის განსხვავებულად ჩატარების იდეის ავტორი, გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში, ინგა ბერაძე, გახლდათ.

ინტელექტუალურ შეჯიბრში „გივი კურტანიძის ექვსეულმა" გაიმარჯვა. მეორე ადგილი „რკინიგზელებმა" დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილი თანაბრად გადანაწილდა „მიშა გელაშვილის ექვსეულსა" და გუნდ „ტროას" შორის. ბოლო ადგილზე გუნდი „ბაღი-ბაღნარი" გავიდა.

„რა? სად? როდის?" ხარაგაულში გამგეობის კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით უკვე წლებია, იმართება.

შეჯიბრში მონაწილე ექვსეულებს ორგანიზატორების მიერ სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ეკა შავიძე

მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში მუსიკალურ - შემეცნებითი ღონისძიება ჩატარდა

6 მარტს „ნინო სახვაძის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში" (დირექტორი მაია ბლუაშვილი) მუსიკალურ - შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა. იდეის ავტორები ქეთევან ხარაძე (მოსწავლეთა სახლის ორგანიზატორი) და დარეჯან გვაძაბია (საესტრადო სიმღერის პედაგოგი) გახლდათ.

მუსიკალურ- შემეცნებით კონკურსში, რომელშიც მოსწავლეები ერთმანეთს ქართული ფილმებისა და სიმღერების ამოცნობაში ეჯიბრებოდა, ოთხი გუნდი მონაწილეობდა. გუნდები დაკომპლექტებული იყო საესტრადო სიმღერის წრის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისაგან.

შეჯიბრი ექვსი ტურისაგან შედგებოდა და თითოეული ტურის შემდეგ დამარცხებული გუნდიდან მშობელი, ჯარიმის სახით, კარაოკე სიმღერას ასრულებდა.

ღონისძიება საკმაოდ სახალისოდ და საინტერესოდ წარიმართა და გამარჯვება გუნდმა „ფეოლამ" 32 ქულით მოიპოვა. მეორე ადგილზე „დო" და „ბარაბაშკა-ლუცი" გავიდა (27 ქულა), ხოლო მესამე ადგილი „ჩიტი-გვრიტმა" (22 ქულა)დაიკავა.

გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

სხვადასხვა ნომინაციისათვის სიგელები გადაეცათ გუნდის მშობლებს:

თამარ ლაცაბიძეს - საუკეთესო ინტუიციისათვის;

ნიკოლოზ მაჭავარიანს - საუკეთესო მუსიკალური სმენისათვის;

მამუკა ჭიპაშვილს - საუკეთესო სწრაფი აზროვნებისათვის;

მაია ბერაძეს - სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის.

თამარ მაღარძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

25-26 თებერვალს ჩატარდა ხაშურის ღია პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა საქართველოს ექვსი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს. შეჯიბრში წარმატებით იასპარეზეს კიცხის სექციის აღსაზრდელებმა (მწვრთნელი ვეფხვია გამრეკელაშვილი). მეორე ადგილის მფლობელი ნოდარ ბაკაშვილი გახდა, მე-3 ადგილი კი გიორგი ოკრიბელაშვილმა დაიკავა.

***

ქუთაისში მიმდინარეობს იმერეთის ჩემპიონატი კალათბურთში 2000-2002 წლებში დაბადებულ გოგონებს შორის. ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ,,ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის" გუნდმა (მწვრთნელები: გოჩა ბუაჩიძე და ნუგზარ კაპანაძე), რომელმაც დაამარცხა ტყიბულის, ბაღდათისა და სამტრედიის ნაკრები გუნდები და რეგიონული ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ფინალში კი ქუთაისის გუნდს დაუპირისპირდება, რომელიც 18 მარტს გაიმართება.

***

1 მარტს ,,ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში" ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ძიუდოში- 2004-2005-წწ და 1999-2001 -წწ დაბადებულ მოსწავლეთა შორის. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს ხევის, ბორითის, ზვარის, ვახანის, კიცხისა და ხარაგაულის სპორტული სექციის აღსაზრდელებმა. მუნიციპალიტეტის ჩემპიონები გახდნენ: მიხეილ დალალიშვილი, მამუკა დალალიშვილი (მწვრთნელი ივანე ჩაჩანიძე); ხვიჩა გრიგალაშვილი, ლევანი ხაჩიძე, ზურაბ ლომიძე, თორნიკე ხაჩიძე, ვასილ გრიგალაშვილი, გიორგი ხაჩიძე (მწვრთნელი სოსო ხაჩიძე); ანზორ ტალახაძე, ბექა შველიძე, ლუკა გაჩეჩილაძე (მწვრთნელი ლევან დონაძე); შმაგი ცუცქირიძე, ნოდარ არევაძე (მწვრთნელი თორნიკე ინასარიძე); ევსემ შველიძე, გიორგი ვარდოსანიძე, ლუკა ცხვედაძე, ზურაბ ტოროშელიძე, გიორგი თაბუკაშვილი (მწვრთნელები: ზაზა ბერაძე, ბორის მანჯავიძე, რევაზ ~~შერგელაშვილი~~); ნოდარ ბაკაშვილი (მწვრთნელი ვეფხია გამრეკელაშვილი).

ა(ა) იპ ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი".

ᲛᲐᲚᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსი წიფაში მცხოვრებ ოთარ ორთოიძეს და პატარა სახვლარში მცხოვრებ მირანდა და თენგიზ გოგოლაძეებს მიენიჭათ. ამის შესახებ გადაწყვეტლება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭომ მიიღო. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საბჭო ინდივიდუალურ განცხადებებს განიხილავს და გასცემს რეკომენდაციებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

,,ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ" ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲛᲝᲚᲐᲨᲥᲠᲔᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ ,,ᲑᲘᲚᲘᲙᲘ" ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ

ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის" (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ინიციატივით მოლაშქრეთა კლუბი - ,,ბილიკი" ჩამოყალიბდა. კლუბის მიზანია: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე არსებული, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი, ტურისტულად მიმზიდველი და საინტერესო ადგილების აღმოჩენა; ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და გამომუშავება.მოლაშქრეთა კლუბში შესაძლებელია, 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდები გაწევრიანდნენ, რომლებსაც უყვართ სათავგადასავლო ლაშქრობები, ექსტრემალური სიტუაციები. კლუბის წევრები მონაწილეობას მიიღებენ, როგორც დასუფთავების აქციებში, ასევე ტურისტული ბილიკების მოწესრიგებაში. მოლაშქრეებისთვის ტრენინგები სისტემატურად გაიმართება.

მოლაშქრეთა კლუბის ლიდერად ბერიკა ებანოიძე აირჩიეს.

,,ბილიკის" წევრებმა უკვე მოინახულეს და შეისწავლეს სოფელ ღარიხევში ჩანჩქერი, რომელსაც ადგილობრივები ,,ოხნარს" უწოდებენ. უახლოეს მომავალში ამ ადგილზე ლაშქრობა მოეწყობა.

თამარ მაღარძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი **დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12**